ტფილისის ფეხბურთელები მოსკოვში

ტფილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება 13 ივნისს შეხვდა მოსკოვის სტალინის სახ. ქარხნის ფეხბურთელთა გუნდს. შეჯიბრება ტფილისის ფეხბურთელების გამარჯვებით დასრულდა 2:1 ანგარიშით.

ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის გათამაშებაში ტფილისის "დინამოს" ფეხბურთელები "ბ" ჯგუფის ხაზით თამაშობენ და ჯერჯერობით ყველა გუნდებზე წინ არიან.

შემდეგ შეჯიბრებას ტფილისის "დინამოს" გუნდი ჩაატარებს ლენინგრადელ ფეხბურთელებთან.

"კომუნისტი", 17 ივნისი, 1936 წ.